ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4166765

ნომერი: AR1630128

თარიღი : 12.09.2018

გაცემის თარიღი : 13.09.2018

გაცნობის თარიღი : 13.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი I , და VI მ/რ-ს შორის ; ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი I , და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 07/003);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თორნიკე დვალი პ/ნ 01024040140
- პეკინის 17.ა ბინა 52.

ორგანიზაცია:
- ჯორჯიანჰაუს კოდი: 404931945

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ.თბილისში, სექტორი- გლდანი, დასახლება გლდან , მიკრო/რაიონი I , და VI მ/რ-ს შორის ; ქალაქი თბილისი, დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი I, და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 07/003), შპს არტანუჯ ინვესტ ჯგუფი საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დროებითი ღობის მშენებლობის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან # 892018772007, 07/09/2018; ს.კ. # 01.11.10.007.036; საკადასტრო გეგმა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ.თბილისში, სექტორი- გლდანი, დასახლება გლდან , მიკრო/რაიონი I , და VI მ/რ-ს შორის ; ქალაქი თბილისი, დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი I, და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 07/003), შპს არტანუჯ ინვესტ ჯგუფი საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დროებითი ღობის მშენებლობის მოწყობის შესაძლებლობას 1 (ერთი) წლის ვადით. გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს თქვენს საკუთრებაში არსებული # 01.11.10.007.036 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.